საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2012 წლის 30 აპრილის
დადგენილება № 650

არჩევნების ელექტრონული
ტექნოლოგიით ჩატარების
შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს 2012 წლის 4 მაისს დანიშნული ა(ა) იპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანების არჩევნების ჩატარება ელექტრონული ტექნოლოგიით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების დებულების 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

2. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების ჩატარების დღეს კენჭისყრის პროცესი შეუძლებელი გახდა ფორსმაჟორულ ფაქტორთა ზემოქმედებით აგრეთვე ელექტროენერგიის ისეთი დროით გათიშვა, რომელიც შეუძლებელს ხდის კენჭისყრის პროცესის გაგრძელებას ან/და ხმის დამთვლელი აპარატურის – მწყობრიდან გამოსვლა ფაკულტეტის საარჩევნო კომისია იღებს დასაბუთებულ წერილობით გადაწყვეტილებას კენჭისყრის შეწყვეტის შესახებ და მიმართავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს გონივრულ ვადაში ხელახალი კენჭისყრის დღის დასანიშნად.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე